ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2446844

ნომერი: AR1374679

თარიღი : 01.02.2016

გაცემის თარიღი : 22.02.2016

გაცნობის თარიღი : 22.02.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გივი კარტოზიას ქუჩა N10 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი ჩირაძე პ/ნ 01017022486
- თბილისი ლ.შარაშიძის ქ. N 6

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 03/07/2015 წლის N1989208 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 01/02/2016 წლის AR1374679 განაცხადით მომართა ირაკლი ჩირაძემ და ამავე სამსახურის 03/07/2015 წლის №1989208 ბრძანებაში

ტექნიკური შეცდომის გასწორება მოითხოვა.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ სამსახურის 03/07/2015 წლის №1989208 ბრძანებით ქ. თბილისში, გივი კარტოზიას ქ. N10–ში, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.10.16.004.194) შეთანხმდა მრავალფუნქციური კომპლექსის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2015 წლის 03 ივლისიდან 2019 წლის 03 ივლისის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტებით, 03/07/2015 წლის №1989208 ბრძანებით შეთანხმებულ გეგმებში ტექნიკური შეცდომაა, კერძოდ, არასწორადაა მითითებული: +31.320 ნიშნულის გეგმაზე N43–ე ბინის, +37.920 ნიშნულის გეგმაზე N51–ე, +44.520 ნიშნულის გეგმაზე N59–ე, +51.120 ნიშნულის გეგმაზე N67–ე და +25.500 ნიშნულის გეგმაზე N696–ე ბინების საზაფხულო ფართობები, ხოლო +21.420 ნიშნულის გეგმაზე N110–ე, +28.020 ნიშნულის გეგმაზე N120–ე და +6.000 ნიშნულის გეგმაზე N364–ე ბინების საცხოვრებელი ფართობები. შესაბამისად, არასწორადაა დაფიქსირებული საცხოვრებელი, საზაფხულო და საერთო ფართობები.
წარმოდგენილი განაცხადით, მოთხოვნილია სამსახურის 03/07/2015 წლის №1989208 ბრძანებაში გასწორდეს ტექნიკური შეცდომა, ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: 54729,37; საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 7287,87; საერთო ფართობი (კვ.მ).: 93023,08; ასევე, აღნიშნული ბრძანებით შეთანხმებული +31.320, +37.920, +44.520, +51.120, +21.420, +28.020, +6.000, +25.500 ნიშნულების გეგმების განმცხადებლის მიერ 01/02/2016 წლის NAR1374679 განაცხადით წარმოდგენილი გეგმებით ჩანაცვლება.
სამსახურმა შეისწავლა შესაბამისი დოკუმენტაცია, რის შედეგადაც მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა, გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,
ვბრძანებ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 03/07/2015 წლის №1989208 ბრძანებაში და ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: 54729,37; საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 7287,87; საერთო ფართობი (კვ.მ).: 93023,08; ასევე, №1989208 ბრძანებით შეთანხმებული +31.320, +37.920, +44.520, +51.120, +21.420, +28.020, +6.000, +25.500 ნიშნულების გეგმები ჩანაცვლდეს განმცხადებლის მიერ 01/02/2016 წლის NAR1374679 განაცხადით წარმოდგენილი გეგმებით. 03/07/2015 წლის №1989208 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 03/07/2015 წლის №1989208 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.